აქტივობები

სკოლის დასახელება	სსიპ ქალაქ თბილისის N168 საჯარო სკოლა
მასწავლებელი	გიტა თვალაბეიშვილი
ნაწყვეტი წიგნიდან	მარიანე კაურინი - „ჩვენი სამხრეთი“
სწავლების საფეხური/კლასი	დაწყებითი საფეხური -V კლასი
მისაღწევი შედეგები	***გამჭოლი კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა:*** - *შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება;* - *წიგნიერება;* - *ციფრული წიგნიერება;* ***ინფორმაციულ-საკუმუნიკაციო ტექნოლოგიები:*** ***ის ტექნ.* V.2.**მოსწავლეს შეუძლია ეთიკური და უსაფრთხოების ნორმების დაცვა და პასუხისმგებლობის გაცნობიერება ისტ-ის გამოყენებისას. იცის ისტ-ის გამოყენების სფეროები და აცნობიერებს მის უპირატესობებს. ***ის ტექნ.* V. 4.** მოსწავლეს შეუძლია ისტ-ის ეფექტიანად გამოყენება ინფორმაციის მიღების, შენახვისა და ორგანიზების დროს. ***ის ტექნ.* V.5.** მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის ციფრული საშუალების შერჩევა და გამოყენება ინფორმაციის მოძიებისას და კვლევის პროცესში. ***ქართული ენა და ლიტერატურა*** ***მოსმენა*** ***ქართ.* V. 3.** ***მოსწავლეს შეუძლია ენობრივ-გრამატიკული ფორმის აღქმა და მართებულად გამოყენება შესაბამის სამეტყველო სიტუაციაში.*** ***კითხვა*** ***ქართ.* V. 7**. მოსწავლეს შეუძლია მისთვის საინტერესო თემატიკის შემცველი სხვადასხვა სახის არამხატვრული ტექსტების (საყმაწვილო ჟურნალების, დარგობრივ-შემეცნებითი სტატიების,

	სხვადასხვა შინაარსის ცნობარების ინტერვიუებისა და სხვ.) წაკითხვა და გააზრება. *წერა* *ქართ.* **V.** 13. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის ტექსტების დამოუკიდებლად შექმნა
წინასწარი ცოდნა	➢ წაკითხული უნდა ჰქონდეს ელინორ პორტერის „პოლიანა“. ➢ ფლობდეს ისტ კომპეტენციების მინიმალურ დონეს.
აქტივობების თანმიმდევრობა და დრო	5-6 გაკვეთილი

ყველაზე წიგნიერი

აქტივობა 1 *პროფესია ტურ-ოპერატორი*	***აქტივობის მიზანი:*** მოსწავლემ შეძლოს ვირტუალურ სივრცეში ორიენტირება, სასურველი ინფორმაციის მოძიება და მისი წესების დაცვით გამოყენება. ***აქტივობის აღწერა:*** ინა წერს, რომ სამხრეთში არასდროს ყოფილა. წარმოიდგინეთ, რომ ხართ ტურისტული კომპანია „ჩვენი სამხრეთის“ ტურ-ოპერატორი. სანდო ვებ-გვერდების საშუალებით შეაგროვეთ ინფორმაცია რამდენიმე სამხრეთული ქვეყნის მდებარეობის, მათი ღირსშესანიშნაობების, ტრადიციებისა და კერძების შესახებ. შექმენი კომპანიის სახელწოდებით facebook გვერდი ან ბლოგი, სადაც განათავსებთ მოძიებულ ინფორმაციას, რომელსაც თან დაურთავთ ფოტო-მასალას. აქვე შეგიძლია დაამზადოთ მსგავსი შინაარსის ბუკლეტებიც. შემდეგ გაკვეთილზე კი ინასთვის წარადგინეთ თქვენ მიერ შექმნილი გვერდი და ბუკლეტები. *თუ სურვილი გაგიჩნდათ შეგიძლიათ მსგავსი მასალა მოამზადოთ იმ გეოგრაფიულ ობიექტებზეც, სადაც ინას კლასელები ისვენებენ. მაგ. პორტუგალია (მატილდა), პარიზი (რეგინა), კვიპროსი (იულია) და ა.შ. ** მასალის გამოყენებისას არ დაგავიწყდეთ წყაროების მითითება. გახსოვდეს რომ პლაგიატი დაუშვებელია.

აქტივობა 2 *მხიარული არდადეგები ჩემს ქალაქში/სოფელში*	***აქტივობის მიზანი:*** შემოქმედებითი აზროვნების განვითარების ხელშეწყობა, საგნის/მოვლენის სხვა ხედვის კუთხით დანახვა, დაგეგმვა, პრობლემის გადაჭრა. ***აქტივობის აღწერა:*** იფიქრე იმაზე, რომ გარკვეული მიზეზების გამო ვერ ახერხებ არდადეგების სხვაგან გატარებას. მოიფიქრე შენი ზაფხულის არდადეგების გეგმა და წარადგინე შენთვის მოსახერხებელი საპრეზენტაციო მასალით (ფლიპჩატი, Power point, prezi და სხვა): ➢ როგორი იქნებოდა შენი დღეები, რაში დახარჯავდი შენს საზაფხულო დღეებს? ➢ რის მონახულებას შეძლებდი, რაიმე საზაფხულო ტრადიციას ხომ არ შექმნიდი ოჯახის წევრებისთვის (ინსპირაციისთვის ინას დედის ოცნებაც შეიძლება გამოგადგეთ)? ➢ რას წაიკითხავდი ან უყურებდი და რატომ? ➢ შენთვის პროდუქტიულად (მაგ. რაიმე ახლის შესწავლისთვის) ხომ არ გამოიყენებდი ამ დროს ➢ და სხვა. ახსენი მიზეზები.

ყველაზე წიგნიერი

აქტივობა 3 *მე, ინა და ჩვენი მეზობელი პოლიანა*	***აქტივობის მიზანი:*** წარმოსახვისა და განსხვავებული/მრავალფეროვანი ინტერპრეტირების უნარის განვითარება, პრობლემის გადაჭრა, ემპათიის გამოწვევა. ***აქტივობის აღწერა:*** წარმოიდგინე, რომ ინას მეზობლად ცხოვრობთ შენ და პოლიანა. ალბათ გახსოვს , რომ პოლიანა ელინორ პორტერის ამავე სახელწოდების წიგნის მთავარი პერსონაჟია. იგი 11 წლის ობოლი გოგონაა, რომელსაც იშვიათი უნარი აქვს - ყველაფერში, რაც ირგვლივ ხდება, რაღაც სასიხარულო იპოვოს; და, რაც მთავარია , შეუძლია სხვებსაც ასწავლოს, როგორ უნდა უხაროდეთ მაშინ, როდესაც თითქოს ყველაფერი ძალიან, ძალიან ცუდადაა. გაითვალისწინე ინას საპირისპირო განცდები და დამოკიდებულებები აქვს საკუთარი დასახლების მიმართ. შეეცადე წარმოიდგინო დიალოგი გოგონებს შორის. რას ეტყოდა პოლიანა და შეცვლიდა თუ არა ეს ინას განწყობას. შენ როგორც მათი თანატოლი, რას ეტყოდი გოგონებს და როგორ შეძლებდი მათ დახმარებას? (მაგალითისთვის შეგიძლიათ უკანა ეზოს საინტერესოდ მოწყობაც შესთავაზოთ).